შიდა აუდიტის როლი საჯარო სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირებაში

(საქართველოს ცენტრალური სამინისტროების მაგალითზე)

თამარ მარუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: საბა ჯაჯანიძე, ასისტენტ -პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრონაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრანტი

15.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია შიდა აუდიტის როლი საჯარო სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირებაში საქართველოს ცენტრალური სამინისტროების მაგალითზე. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვა საქართველოს ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებაა და ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი წინაპირობა.

კვლევის მიზანი იყო, შიდა აუდიტის როლის წარმოჩენა საჯარო სექტორის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

ნაშრომში შესწავლილია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის და მისი დანერგვის ფორმირება საქართველოს მარეგულირებელ საკანონმდებლო დონეზე, ასევე შიდა აუდიტისა და ინსპექტირების გამიჯვნის მნიშვნელობა. შიდა აუდიტის საქმიანობების ეტაპები და განხორციელებული საქმიანობის ხარისხის შეფასება დაწესებულების დონეზე;

ჰიპოთეზა - საჯარო სექტორის ეფექტიანად ფუნქციორებისთვის შიდა აუდიტის როლი მნიშვნელოვანია - გამართლა თვისობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ცენტრალურ სამინისტროების შიდა აუდიტის დეპარტამენტისა და მათი დაქვემდებარებული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კვლევის შედეგების საფუძველზე დადასტურდა საკვლევი ჰიპოთეზა, გამოკითხულმა შიდა აუდიტის სუბიექტებმა და შიდა აუდიტის ობიექტებმა დაასახელებს ის ხელის შემშლელი ფაქტორები, რაც ხელს უშლის შიდა აუდიტს ეფექტიანად ფუნქციონირებაში. ჰარმონიზაციის ცენტრის, როგორც სისტემის მააკორდინებელი ორგანოს, სისუსტე და ცნობიერების სიმწირე როგორ აფერხებს აუდიტის პროცესსა და მის ფუნქციონირებას სტანდარტების შესაბამისად;

ძირითადი საძიებო სიტყვები: სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა, ფინანსური მართვა და კონტროლი, შიდა აუდიტი, ინსპექტირება; ჰარმონიზაციის ცენტრი.

Abstract

In this paperwork is discussed the role of internal audit in the effective functioning of the public sector with the example of the central ministries of Georgia. Implementation of state internal financial control is an obligation of Georgia to the European Union and is one of the preconditions for joining the European Union.

The purpose of the study was to present the role of internal audit for the effective functioning of the public sector.

The paperwork examines the formation of the state internal financial control system and its implementation at the regulatory legislation level of Georgia, as well as the importance of differentiating internal audit and inspection. Stages of internal audit activities and evaluation of the quality of implemented activities at the institutional level.

The hypothesis - the role of internal audit is essential for the efficient functioning of the public sector - Justification using the qualitative methodology, in which the representatives of the Internal Audit Department of the Central Ministries of Georgia and their subordinate organizations participated.

Based on the research results, the research hypothesis was confirmed. The surveyed internal audit subjects and objects identified the hindering factors that interferes with internal audit from functioning effectively. How the weakness and lack of awareness of the harmonization center, as the coordinating body of the system, obstructs the audit process and its functioning in accordance with the standards.

Keywords: State internal financial control system, Financial management and control, Internal audit, Inspection; Harmonization Center.